

ტარიზმის ენობრივი პოლიტიკა  
დასავლეთ საქართველოში  
მე-20 საუკუნის დასაწყისის  
ქართული ემიგრაციული პრესის მიხედვით<sup>1</sup>  
LANGUAGE POLICY  
OF TSARISM IN WESTERN GEORGIA  
AS REFLECTED IN GEORGIAN ÉMIGRÉ PRESS  
OF THE EARLY 20TH CENTURY<sup>2</sup>

ლევან ფაჩულია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

Levan Pachulia

Sokhumi State University  
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The issue of the functioning of the Georgian language in the common Georgian linguistic space has been a concern since 1801, beginning with the period of Georgian statehood and continuing through the abolition of the autocephaly of the Georgian Church. During the reign of the Tsar in the Russian Empire, the Georgian language faced gradual restrictions and, eventually, even bans in schools and state institutions, among other places. Throughout the 19th century and the first two decades of the 20th century, our ancestors tirelessly fought against the Russifying anti-national policies across all aspects of public life.

Tsarist Russia's language policy in Western Georgia sought to reduce and stifle the presence of the Georgian language in parish schools and churches.

Evaluating these threats appropriately from a modern perspective is crucial.

This report explores the anti-Georgian language policy of the Russian Tsar in Western Georgia, drawing on publications from the early 20th century, notably the newspaper "Georgia". These publications were produced by Georgian emigrants residing in cities such as Paris, Berlin, New York, and Istanbul, and they covered various significant topics emerging at the turn of the 20th century.

The Russian authorities attempted to lay the groundwork for anti-Georgian propaganda by highlighting the division of the common Georgian language into dialects and the regular linguistic developments resulting from the asymmetrical evolution of the three closely related languages (Georgian, Zan, and Svan). This foundation was utilized by proponents of Russification to falsely assert that the

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-21517]

<sup>2</sup> This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [FR-22-21517]

Georgian language was not the mother tongue of the Megrelians. Despite numerous efforts by Russian officials during the Tsar's rule, the strong national and state consciousness of Western Georgia's population prevented Russia from achieving its goal of national degeneration among the Georgians.

We wish to express our gratitude to the Shota Rustaveli National Scientific Foundation for providing the opportunity to conduct comprehensive research on the impact of Georgian emigration in presenting the detrimental language policies of Tsarist Russia.

**საკვანძო სიტყვები:** ცარიზმის ენობრივი პოლიტიკა საქართველოში, ქართული ემიგრანტული პრესა, ნაციონალური იდენტობა, ქართველური ენები.

**Keywords:** language politics of tsarism in Georgia, Georgian emigrant press, national identity, Kartvelian languages.

### შესავალი

ცნობილია, რომ ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი საერთოქართველურ ენობრივ სივრცეში პრობლემად იქცა ჯერ კიდევ 1801 წლიდან, საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და შემდგომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დროიდან, როდესაც მეფის რუსეთის იმპერიაში ქართული ენა თანდათანობით იზღუდებოდა, მოგვიანებით კი პერმანენტულად იკრძალებოდა კიდევ სკოლებში, სახელმწიფო დაწესებულებებში და ა.შ.

რუსი ჩინოვნიკები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ადგილობრივ დიალექტებზე სწავლებასა და საქმისწარმოებას, მეგრული და სვანური ენობრივი მასალის გადმოსაცემად რუსული დამწერლობის გამოყენებას.

საქართველოს ანექსიის შემდეგ ცარიზმის ენობრივი პოლიტიკის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა ენით, კულტურითა და წარმომავლობით, გენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული ძირითადი ქართველური ტომების – ქართველების, მეგრელების, ლაზების (ჭანების), სვანების სხვადასხვა ხალხებად მიჩნევა, ქართველთა ენობრივ-კულტურული დანაწევრება, მათში სეპარატისტული განწყობების გაღვივება, რაზეც, უნდა ითქვას, რომ რუსეთს ხელი არ აუღია არც საქართველოს გასაბჭოებისა და არც კომუნისტური რეჟიმის პირობებში. ამ მხრივ, უდავოდ იწვევს ინტერესს XX საუკუნის დასაწყისის ემიგრაციული პრესა, რომლის ფურცლებზეც აისახა ის ანტისახელმწიფოებრივი რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკა, რომლის განხორციელებასაც ცდილობდა მეფის რუსეთი ჩვენს ქვეყანაში.

### მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომში ემპირიული მასალის ანალიზური მეთოდის გამოყენებით წარმოჩენილია მეფის რუსეთის მიერ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გატარებული ენობრივი პოლიტიკის საკითხები ემიგრაციული პრესის მიხედვით.

### მსჯელობა

მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის პირველი ორი ათეული წელი ჩვენი წინაპრები - მწერლები, საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეები (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია)...), ინტელიგენციის წარმომადგენლები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა უბანზე ხმალამოდებულნი იბრძოდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, რაც ძალუმად აისახა კიდევ გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ ემიგრაციულ პრესაში, რომელმაც თავისი როლი ითამაშა ქართველთა ნაციონალური იდენტობის წრთობისა და შენარჩუნების საქმეში.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული ემიგრაცია თავის დაარსებულ ჟურნალ-გაზეთებში ინტენსიურად აშუქებდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ-კულტურულ ვითარებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს აღნიშნულ პერიოდში. ამ დროისათვის პარიზში, ბერლინში, ნიუ იორკში, სტამბულში გამოდიოდა ქართული გაზეთები: „საქართველო“ (პარიზი), „საქართველო“ (ბერლინი), „ახალი საქართველო“ (პარიზი), „თეთრი გიორგი“ (პარიზი-ბერლინი), „მამულიშვილი“ (პარიზი), „მუხარადი“ (პარიზი), „საქართველოს გუშაგი“ (პარიზი), „ბრძოლის ხმა“ (პარიზი), „კლდე“ (ბერლინი), „ლეგიონერი“ (პარიზი), „მომავალი“ (პარიზი), „ქართული აზრი“ (ნიუ იორკი), „ქართული საქმე“ (პარიზი); ჟურნალები: „თავისუფალი საქართველო“ (სტამბული-პარიზი), „სამშობლოსათვის“ (პარიზი), „ბრძოლა“ (პარიზი), „სახალხო საქმე“ (პარიზი), „ახალი ივერია“ (პარიზი), „მხედარი“ (პარიზი), „ჯვარი ვახისა“ (პარიზი), „ადამინოსანი“ (პარიზი), „სამშობლო“ (პარიზი), „სამშობლოსათვის“ (პარიზი).

ამჟამად ჩვენი მიზანია ცარიზმის ენობრივი პოლიტიკის განხილვა-გაანალიზება XX საუკუნის დასაწყისის ქართული ემიგრაციული პრესის, კერძოდ, გაზეთ „საქართველოს“ პუბლიკაციების მიხედვით, რომლის ნომრებშიც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ზემოთ აღნიშნულ პრობლემატიკას.

ცარისტული რუსეთის ენობრივი პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში, როგორც ეს იმთავითვე აღინიშნა, მიზნად ისახავდა სამრევლო სკოლებიდან და ეკლესიებიდან ქართული ენის შევიწროება-განდევნას, მეგრულ-სვანური დამწერლობისა და მათზე სასკოლო სახელმძღვანელოების, საეკლესიო ლიტერატურის შექმნას, რაც ნაციონალური თვითმყოფადობის, თვითშეგნებისა და იდენტობის ამოძირკვასა და ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაციას მოასწავებდა. საქართველოს წინაშე მდგარ ამ ეგზისტენციურ საფრთხეს ეხმაურებოდა საზღვარგარეთ მყოფი ქართული ემიგრაცია, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში პუბლიცისტური სტილისათვის დამახასიათებელი ექსპრესიულ-ემოციონალური ტონალობით მძაფრად აკრიტიკებდა მეფის რუსეთის ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს და მოუწოდებდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, დაპირისპირებოდნენ ცარიზმის იმპერიალისტურ ზრახვებს, რაც გულისხმობდა ქართული ენის სრულად გაქრობას დასავლეთ საქართველოში და ქართულ ენაზე საუბრის აკრძალვას.

გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვინმე მეგრელი ასე აღწერს ჩვენი ქვეყნის სავალალო მდგომარეობას: „რალა ხარ დღეს? გადატაკებული, განადგურებული, ყოველს უფლებას და ღირსებას მოკლებული ერი! რუსის მტარვალ კაცები გმარცვავენ, შენს მიწა-წყალს აძლევენ სხვებს, აღარ გაძლევენ ნებას ილაპარაკო შენს დედა-ენაზე, შენი ენა (ქართული ენა – ლ.ფ.) გამოდევნილია შენის სკოლებიდან, სასამართლოდან, დედა-ენაზე არ შეგიძლია მისწერო წერილი შვილს! (მეგრელი)“ (საქართველო 1904ა, №1). „ქართულ ენაზე ლაპარაკი თითქმის დანაშაულებად გახდა“ (საქართველო 1904ბ, №4).

რუს ჩინოვნიკებს ესმოდათ, რომ თავიანთი რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის წარმატებით გასატარებლად აუცილებელი იყო ქართული ენის განდევნა დასავლეთ საქართველოს ეკლესიებიდან, მაგრამ შიშობდნენ, რომ ამის პირდაპირ, უხეშად გაკეთება დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა მოსახლეობაში და ამიტომ გადაწყვიტეს, სამეგრელოსა და სვანეთის სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნა იმ მიზნით, რომ „რაკი ქართული წერა-კითხვა არავის ეცოდინებოდა, სამღვდელოებაც დაივიწყებს ქართულს წერა-კითხვას, მაშინ ეკლესიიდანაც ადვილი გამოსადევნი იქნება ქართული“ (საქართველო 1903, №5). შესაბამისად, რუსი მოხელეები მიმართავდნენ ყოველგვარ ხერხს და მეთოდს დასავლეთ საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის სრულად ამოძირკვისათვის: „სამეგრელოსა და აფხაზეთის სკოლის მასწავლებლებს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორისაგან მოწერილობა მოუვიდათ და ებრძანათ, ბავშვებს სკოლებში უეჭველად მუნჯურის მეთოდით ასწავლონ ხოლმე, რომ ამნაირად ქართულის ხსენება სრულად გააქრონ დასავლეთ საქართველოში“ (საქართველო 1904ბ, №1).

1874 წლიდან აფხაზეთში, სოხუმში, არსებობდა ქალთა ოთხკლასიანი გიმნაზია, სადაც მოსწავლეებს ასწავლიდნენ მათთვის გაუგებარ უცხო რუსულ ენაზე. მისი დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს „ხელში რჩებოდათ კაჟაჟსავით გაზეპირებული ორიოდ რუსული სიტყვა და იმასაც რამდენიმე თვეში ივიწყებდნენ.“ ამასთან, წესად იქცა მასწავლებლების მიერ აუგად მოხსენიება „ქართული ენის, ქართული ზნეობისა და ჩვეულებების“, მოსწავლეებს ლანძღავდნენ და ასეთი სიტყვებით მიმართავდნენ: „პარშვიათა ტუზემკა“, „დიკარკა“ (საქართველო 1904, №6). ამ გზით ცდილობდა მეფის რუსეთი დასავლეთ საქართველოში ქართული ენის საბოლოოდ ამოძირკვას, მაგრამ ქართული საზოგადოება იმდენად იყო გამოფხიზლებული, რომ მას „...ვასილიელები და ვოსტორგოვები თავის ენას არამცთუ დაავიწყებენ, უფრო შეაყვარებენ და მისის შესწავლის სურვილს უფრო გაუღვიძებენ“ (საქართველო 1905, №20).

აქვე უპრიანია გავიხსენოთ ცნობილი საეკლესიო მოღვაწის – ამბროსი ხელაიას სიტყვები: „ცდილობდნენ (რუსი მოხელეები – ლ.ფ.) სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან განედევნათ ქართული ენა; ამ ფაქტმა „ეროვნულობის შენარჩუნების ძალუმი სწრაფვა გამოაღვიძა: მეგრელები განიმსჭვალნენ თავიანთი სალიტერატურო და საეკლესიო ენის დაცვის იდეით“ (ხელაია 1906: 122-123).

გაზეთ „საქართველოს“ პუბლიკაციებიდან ისმის გულისწყრომა ქართული ეკლესიის იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას ჩვენს ქვეყანაში: „...ოდესღაც დიდებულს ქართულ ეკლესიას, რომელსაც განაგებდნენ და ამშვენებდნენ მაღალის გონებისა და სპეტაკი ზნეობის სასულიერო მამანი, დღეს დაეპატრონენ და ქართული ეკლესია ქართული ენის მოსასპობ და გასანადგურებელ ასპარეზად გახადეს. ქართული ენის მტერი შეიქმნა ის ეკლესია, რომელიც იწამა ქართულმა ეკლესიამ, განაძევა ქართული ენა, ის ენა, რომლისთვისაც იღვწოდა იგი მრავალი საუკუნოების განმავლობაში“ (საქართველო 1904, №10).

ქართული ენის „დაცემა“ მოასწავებდა „სარწმუნოებისა და ზნეობის დაცემას.“ ამიტომაც მოუწოდებდა ემიგრაციაში მყოფი ქართველობა თანამემამულეებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ რუსიფიკაციის წინააღმდეგ. მეგრელებისადმი მიძღვნილ ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „სამეგრელოს ქართველებო! თქვენ მოგმართავთ ყველაზე უწინარეს. თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ, როგორ ღრმად გიყვართ სამშობლო ქართული ენა, არა ერთხელ გამოგიცხადებიათ წინააღმდეგობა, როდესაც მთავრობას მოუწოდებია ქართულის ენის განდევნა სამეგრელოს ეკლესიებიდან... ქართული ენა თქვენი სისხლი და ხორცია, და არავის დაუთმობთ მას, თქვენს შვილებს არ მიაბარებთ იმ სკოლებში, საიდანაც განდევნილია ქართული ენა, ის სკოლა ვერ აღზრდის თქვენს შვილებს, რომლებმაც დედა-ენა უნდა დაავიწყოს მას! თქვენ არ მიეკარებით და არ შეხვალთ იმ ეკლესიაში, სადაც რუსულათ სწირავენ და ლოცულობენ, თქვენ მოითხოვთ, რომ სამშობლო ქართული ენა იქმნეს გაბატონებული თქვენს სკოლებსა და ეკლესიებში, სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებებში. თქვენი ცხოვრება, განათლება და წარმატება შეუძლებელია უქართულებოდ. თქვენ დაჰგმობთ და დასჯით ყველა მოძმეს, ვინც გიღალატებს, შეიქმნება იუდა გამცემელი, მიემხრობა რუსის მთავრობას და არ მოითხოვს ქართულ ენას!“ (საქართველო 1904, №10).

ქართული ემიგრაცია მიესალმებოდა სამეგრელოს მოსახლეობის წინააღმდეგობას რუსიფიკატორული პოლიტიკის მიმართ და წერდა: „ფოთში მეგრელთა დელეგაცია შეხვდა ეგზარხოსს (ვოსტორგოვს – ლ.ფ.) და პირდაპირ უთხრა: ჩვენ არც მთავრობის წინააღმდეგ ვამბობთ რასმე, არც რუსული ენის წინააღმდეგ. მხოლოდ გთხოვთ, რომ სამშობლო ქართული ენა დასტოვოთ ჩვენს ეკლესიებსა და სკოლებშიო“ (საქართველო 1903, №5).

სენაკში დანიშნულმა სამღვდელოების კრებამ „...ამოშალა მუხლი მთავრობის მიერ ქართული ენის დევნის შესახებ და დაადგინა, რომ სამეგრელოს ეკლესიებსა და სკოლებში აუცილებლად უნდა დარჩენილიყო „ქართული ენა, რომელიც არის დედა-ენა მეგრელებისა და ურომლისოდაც არ შეუძლიათ მათ განათლება და განვითარებაო“ (საქართველო 1904ბ, №4).

ანტიქართული პროპაგანდისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა საერთოქართველური ფუძე ენის (პრექართველური ენის) დიალექტებად დაშლისა, დივერგენციისა და ამის საფუძველზე სამი მოძმე, მონათესავე ენის – ქართულის, ზანურისა (resp. კოლხურისა, ან ლაზურ (ჭანურ)-მეგრულისა) და სვანურის ასიმეტრიულად განვითარების შედეგად

მიღებული სავსებით კანონზომიერი ცვლილებები, რაც თითქოს აძლევდა საბაზს რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებლებს, ეთქვათ: „მეგრელებო, თქვენ ქართველები არა ხართ, ქართული ენა თქვენი ენა არ არისო (საქართველო 1903, №5). ამაზე ქართული ემიგრაცია ასე პასუხობდა: „მერე ვინ გაჰყო ერთი ქართველი ერი? ვინ გათიშა სხვადასხვა თემისაგან შემდგარი ერთი ქართველი ერი? განა ერთს ენაზე არ უქადაგებდნენ სახარებას მეგრელს, იმერელს, გურულს, ქართლელს, კახელს, მესხს? ერთს ენაზე არ სწერდენ მათი მწერლები? ერთის ენით არ უნაწილებდენ ერთმანეთს თავიანთ წუხილს, დარდს, სიხარულსა და ბედნიერებას? მეგრელი ქართველი არ არის, ქართველი სულით და გულით? განა ეს საეჭვოა, ეს სადავოა და ეს არ იცის რუსის მთავრობამ და სამღვდელოებამ? იცის და ძლიერ კარგად იცის, მაგრამ ვითომ თავს იმართლებს და დღეს სამეგრელოში უნდა გახადოს რუსული ენა მეგრელთა „დედა-ენათ“ (საქართველო 1904, №10). აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...თუ არა მზაკვარება და უგუნურება, გონიერება და სიმართლე ამას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყოს და მეგრული ძირითადი ქართული.“ იგი ურჩევდა კიდევ ქართველ მწერლებს, მეტი ყურადღება მიექციათ მეგრულისათვის, „იქიდან ამოეკრიბათ სიტყვები“, შეეცნოთ „დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“ (წერეთელი 1957: 266-267).

აქვე აღვნიშნავთ, რომ არც ქართველ და არც უცხოელ ქართველოლოგებს არასდროს არ დაუყენებიათ ეჭვის ქვეშ ძირითად ქართველურ ტომთა და ქართველურ ენობრივ ერთეულთა საერთო წარმომავლობა და გენეტიკური კავშირები, გარდა რუსი რეაქციონერი პოლიტიკოსებისა, რომელთა დაკვეთით შექმნილ შრომებში ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული არგუმენტებით მრუდე სარკვეშია წარმოდგენილი ქართველურ ტომთა ერთიანობის საკითხი – სხვადასხვა ხალხებად არიან აღიარებულნი ქართველები, მეგრელები, ლაზები (ჭანები) და სვანები. აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და იწვევს მხოლოდ საერთოქართველური ფუძე ენის დიფერენციაციის ქრონოლოგია და ქართველურ ენათა შემადგენლობის საკითხი: ქართველურ ენათა ჯგუფის წარმოდგენა სამი ერთეულით – ქართულით, ზანურით ანუ კოლხურიტა და სვანურით თუ ოთხი ენით – ქართულით, მეგრულით, ლაზურიტა (ჭანურიტა) და სვანურით.

მიუხედავად ცარიზმის მრავალმხრივი ცდისა, მეგრელთა მაღალმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა შეგნებამ არ მისცა საშუალება თვითმპყობელურ რუსეთს, სისრულეში მოეყვანა ქართველთა ეროვნული გადაგვარების სტრატეგიული ამოცანა, რაშიც თავისი წვლილი უდავოდ შეიტანა XX საუკუნის დასაწყისის ქართულმა ემიგრაციულმა პრესამ, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველთა ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან, ი. გოგებაშვილისა არ იყოს, „...საკუთარი გულისწადილის გამო მეგრელებმა ყველა ქართულ ტომთან ერთად, იმთავითვე აღიარეს ქართული ანბანი თავის საკუთარ ანბანად, და თავის სალიტერატურო ენად მიიჩნიეს ქართული ენა,

პროვინციულ კილოს კი მხოლოდ შინაურობაში ხმარობდნენ... მეგრელთა ტომი ქართულ ენას ყოველთვის თვლიდა თავის ძირითად ენად (დედა-ენად), ხოლო ადგილობრივ დიალექტს უცქერდა როგორც მშობლიურ კილოს“ (გოგებაშვილი 1903: 115).

ნ. მარის თქმით, „...ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურული და იმერული, რამდენადაც ქართული ენა არის ღვიძლი ენა ყველა საქართველოს ტომებისათვის“ (მარი 1905: 10).

#### დასკვნა

ამდენად, XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში და საზღვარგარეთ ემიგრაციაში მოღვაწე ქართველთა ნააზრევის მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენა ყოველთვის იყო და არის ძირითადი ქართველური ტომების (ქართვების, მეგრელ-ლაზების (ჭანების), სვანების) მშობლიური ენა, დედაენა.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

**საქართველო 1903:** ვოსტორგოვი და ჩვენი გათახსირება. გაზეთი „საქართველო“, 1903, №5.

**საქართველო 1904ა:** ქართველ ერს. გაზეთი „საქართველო“, 1904, №1.

**საქართველო 1904ბ:** ქართულ ცხოვრების მატთანე. გაზეთი „საქართველო“, 1904, №1.

**საქართველო 1904:** ქართულ ცხოვრების მატთანე. გაზეთი „საქართველო“, 1904, №4.

**საქართველო 1904:** სკოლა და ეკლესია აფხაზეთში. გაზეთი „საქართველო“, 1904, №6.

**საქართველო 1904:** მეგრელებს. გაზეთი „საქართველო“, 1904, №10.

**საქართველო 1905:** გურია-სამეგრელო. გაზეთი „საქართველო“, 1905, №20.

#### ლიტერატურა

**ხელაია 1906:** ამბროსი ხელაია რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში. გამოსაცემად მოამზადა ნ. პაპუაშვილმა, თბილისი, 1906.

**გოგებაშვილი 1903:** გოგებაშვილი ი., მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის. თბილისი, 1903.

**მარი 1905:** მარი ნ., ქართველთა ეროვნება. ქუთაისი, 1905.

**წერეთელი 1957:** წერეთელი ა., უბრალო საუბარი, რჩეული ნაწერები, ხუთტომეული, ტ. V, თბილისი, 1957.